გზამკვლევი პროფესიული სტუდენტებისთვის

პროფესიული სტუდენტის უფლება-ვალდებულებები

პროფესიული სტუდენტი

პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ერთიანი პროფესიული ტესტირებით ან ტესტირების გარეშე.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.
- მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება.
- მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის მარეგულირებელი ინსტრუქციებით და სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაერთიანდეს პროფესიულ სტუდენტთა წარმომადგენლობით საბჭოში.
- ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებით, აღდგენით, შიდა და გარე მობილობის უფლებით, მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, აპელაცია.
- ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფით.
- პროფესიული სტუდენტის მიმართ არამართლზომიერი მოპყრობის ან/და არასამართლიანი ქმედების შემთხვევაში, წერილობით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია

- სტუდენტი ვალდებულია დაიცვას კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში.
- პატივი სცეს კოლეჯის პრესტიჟს, გაუფრთხილდეს კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის ქონებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მიყენებული ზიანისთვის, დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა.
- შეასრულოს შინაგანაწესითა და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესით მისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები.
- დაიცვას და შეასრულოს მასთან, როგორც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 5 წლის ვადით.

პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური არსებობის შემთხვევაში.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

მობილობა

- სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული კრედიტების და განათლების აღიარება.
- პროფესიული სტუდენტის მობილობა შეიძლება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში (გარე მობილობა) ან იმავე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა).
- მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
- შიდა და გარე მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

- შიდა და გარე მობილობის უფლება აქვს პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, ან პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

- შიდა და გარე მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება (განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება) კოლეჯის დირექტორის სახელზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობით გადმოსული (გარე ან შიდა მობილობის შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- სტუდენტი, რომელსაც საპატიო მიზეზით გაუცდა (ავადმყოფობა, მშობიარობა
- და ა.შ.) სასწავლო პროცესი და მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

ინკლუზიური განათლება

- ინკლუზიური განათლებით სწავლების შემთხვევაში კოლეჯი ერგება ნებისმიერი საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს კულტურით, სასწავლო გარემოთი, წესებით, სასწავლო გეგმით, მეთოდებით, პროფესიული მასწავლებლებით.
- კოლეჯი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის ღონისძიებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი
- ინფორმირებული და აქტიურად ჩაბმული იქნება თავისი ზრდასრული ცხოვრების დაგეგმვის პროცესში, მიიღებს პროფესიულ განათლებას მისთვის შესაფერისი ტემპითა და სტილით, შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწევს პროფესიით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. საბოლოოდ დასაქმდება, რაც ხელს შეუწყობს უკვე არსებული დონის გაუმჯობესებას, საზოგადოებაში ინტეგრირებას და დამოუკიდებელ ცხოვრებას.

პროფესიული სტუდენტის შეფასება

- პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ ცოდნის, უნარების და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას, მოდულით/პროგრამით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- მოდულის/პროგრამის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით/პროგრამით მისაღწევი სწავლის ყველა შედეგი.
- შესაძლებელია სწავლის შედეგების როგორც ცალკეულად, ისე რამდენიმე შედეგის ერთდროულად ან მთლიანი მოდულის დადასტურება.
- პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისთვის გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.
- სტუდენტების განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმია შუალედური შეფასება.
- შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სტუდენტისათვის სავალდებულოა და ის წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
- განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის/ შედეგების ერთობლიობას განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასება დასტურდება შესაბამისი შეფასების მტკიცებულებით- განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებით.

განმსაზღვრელი შეფასების პროცესის განხორციელება

- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების პროცესზე გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს.
- პროფესიულ სტუდენტი, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა განმსაზღვრელ შეფასებაზე, მისთვის ინიშნება დამატებითი განმსაზღვრელი შეფასება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- დაუდასტურებელი მოდული/შედეგი, რომელიც არ არის სხვა მოდულზე/შედეგზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი მოდული/ შედეგი დაადასტუროს გონივრულ ვადაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.
- დაუდასტურებელი მოდული/შედეგი, რომელიც არის სხვა მოდულზე/შედეგზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი მოდული/შედეგი დაადასტუროს იმ მოდულის/შედეგის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის დაუდასტურებელი მოდული/შედეგი.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს კონსულტაცია მიღწევების გასაუმჯობესებლად და განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება.
- მოდული/შედეგი, რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება, განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში (შესაბამისი წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე) ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს.
- პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს/შედეგს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება, განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ, პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.
- განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, ინდივიდუალურად ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

აპელაცია

- თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება შეფასების შედეგს, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს აპელაციის უფლებით.

- პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია აპელაციის მიზნით, შედეგების გაცნობიდან იმავე დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან/და პროცედურული საკითხები და წერილობით მიმართოს სააპელაციო განაცხადით კოლეჯის დირექტორს.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

- პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა,რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;
- საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.
- კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტი მიიღებს კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს - პროფესიულ დიპლომს და დიპლომის დანართს.
- კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს: მოითხოვოს, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ცნობა შესაბამისი მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
- შესაბამისი პროფესიული პროგრამის დაუსრულებლობის შემთხვევაში მოითხოვოს სერტიფიკატი, დასრულებული მოდულების შესახებ.